

THEATINE MISSIONARIES ON
METROPOLITAN MITROFANE OF ALAVERDI

თეატინელი მისიონერები
ალავერდელი მიტროპოლიტის მიტროფანეს შესახებ

ELDAR MAMISTVALISHVILI

Doctor of Historical Sciences,
Professor, Gori State University,
Georgia, Gori, Chavchavadze St., N53,1400,
+9955 99117703, eldarmamistvalishvili@rambler.ru,
<https://orcid.org/0000-0002-5978-7624>

In the first half of the seventeenth century, one of Georgia's most notable ecclesiastical figures—a person well known to the missionaries and of a highly distinctive character—was Metropolitan Mitrophanes of Alaverdi. Virtually nothing has been preserved in Georgian written sources about his life, so this study follows the information provided by Italian missionaries, tracing his story from his return to Georgia after captivity in Persia to the end of his life. Among these sources, the letters of Cristoforo Castelli are of particular interest, as they show that he enjoyed such a close personal relationship with the Metropolitan that Mitrophanes wished to have Castelli at his side during his final moments and, in fact, died in his presence.

The information on Metropolitan Mitrophanes of Alaverdi on which this article is based comes almost entirely from Italian Catholic missionaries, beginning with the identification of his family name. Neither Georgian nor foreign sources record this surname directly. Only one indirect clue exists in a portrait of a horseman drawn by Cristoforo Castelli, bearing an inscription stating that the depicted person was a certain Shabatari (or Sabakhtari) Avalishvili, brother of the Metropolitan of Alaverdi and an enemy of the missionaries. From this, it has been determined that Mitrophanes's family name was Avalishvili.

A few Russian accounts also mention Mitrophanes; they were recorded by Russian envoys stationed in Mingrelia and are based on the Metropolitan's own testimony.

From the famous traveler, diplomat, archaeologist, and writer Don Pietro della Valle, we learn that Mitrophanes had been taken captive by Shah Abbas I of Persia together with his relatives. He eventually escaped and returned to Georgia, later residing in western Georgia, where he established contacts with the Theatine missionaries Don Cristoforo Castelli, Don Arcangelo Lamberti, and Don Giuseppe Giudice. Based on their reports, we can trace the

Metropolitan's remarkable life in the Principality of Mingrelia, where he died on 3 January 1643.

According to Castelli's account, Mitrophanes professed the Catholic faith shortly before his death—a statement that remains highly doubtful.

Keywords: Alaverdeli, Della Valle, Castelli, Persia, Ketevan the Martyr.

ელდარ მამისტვალიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

საქართველო, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., #53,1400,

+995 599117703, eldarmamistvalishvili@rambler.ru,

<https://orcid.org/0000-0002-5978-7624>

აბსტრაქტი:

XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო მოღვაწე, მისიონერებისთვის კარგად ცნობილი ქართველი იერარქი, კოლორიტული პიროვნება იყო ალავერდელი მიტროპოლიტი მიტროფანე. ალავერდელ მიტროპოლიტ მიტროფანეს ბიოგრაფიაზე ქართულმა წერილობითმა წყაროებმა თითქმის არაფერი შემოგვინახეს, ამიტომ მივყევით იტალიელთა ცნობებს ალავერდელის სპარსეთის ტყვეობიდან საქართველოში დაბრუნებიდან, მისი სიცოცხლის დასასრულამდე. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა კრისტოფორო კასტელის წერილები, საიდანაც ჩანს, რომ ის პირადად იმდენად კარგ დამოკიდებულებაში იყო ალავერდელთან, რომ ამ უკანასკნელმა სიცოცხლის დასასრულს კასტელთან ყოფნა ისურვა და ფაქტიურად მის ხელში გარდაიცვალა.

ალავერდელი მიტროპოლიტი მიტროფანეს შესახებ ცნობები, რომელთა საფუძველზე დაიწერა წინამდებარე სტატია, თითქმის მთლიანად იტალიელ კათოლიკე მისიონერებს ეკუთვნით, დაწყებული მიტროფანეს გვარის დადგენიდან. მისი გვარი არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში არ არის დაფიქსირებული. მხოლოდ ერთი არაპიდაპირი ცნობა გვაქვს კრისტოფორო კასტელის მიერ დახატული მხედრის პორტრეტზე, რომელსაც დონ კრისტოფორო კასტელმა მიაწერა, რომ გამოსახული იყო ვინმე შაბატარ/საბახტარ ავალიშვილი, მისიონერების მტრის, ალავერდელი მიტროპოლიტის ძმა. აქედან დადგინდა, რომ მიტროფანე ავალიშვილების გვარისა იყო.

გვაქვს რამდენიმე რუსული ცნობაც მიტროფანეს შესახებ, რომლებიც დატოვეს სამეგრელოში მყოფმა რუსმა ელჩებმა და ისინი ჩაწერილია მიტროფანეს მონაყოლის მიხედვით.

სახელგანთქმული მოგზაურის, დიპლომატის, არქეოლოგის, მწერლის დონ პიეტრო დელა ვალესგან ვიცით, რომ მიტროფანე შაჰ აბას პირველის ტყვეობაში მოხვდა თავის დებთან ერთად. მან გაქცევით უშველა თავს და საქართველოში დაბრუნდა. ამის შემდეგი დასავლეთ

საქართველოში ცხოვრობდა და კონტაქტები ჰქონდა თეატინელ მისიონერებთან – დონ კრისტოფორო კასტელისთან, დონ არქანჯელო ლამბერტისა და დონ ჯუზეპე ჯუდიჩესთან. მათი ცნობების საფუძველზე შეიძლება თვალი მივადევნოთ მიტროპოლიტ მიტროფანეს საინტერესო ცხოვრებას სამეგრელოს სამთავროში, სადაც გარდაიცვალა 1643 წლის 10 იანვარს.

კასტელის და სხვა მისიონერების გადმოცემით მიტროფანემ სიკვდილის წინ კათოლიკური სარწმუნოება აღიარა, რაც დიდად საეჭვოა.

საკვანძო სიტყვები: ალავერდელი, მისიონერები, კასტელი, რუსი ელჩები, სპარსეთი, ოდიში.

შესავალი: ალავერდელი მიტროპოლიტი მიტროფანეს შესახებ ქართული წერილობითი წყაროები არ გაგვაჩნია, ამიტომ წინამდებარე სტატია თითქმის მთლიანად იტალიელი მისიონერების და რუსი ელჩების დატოვილ ცნობებზეა დამყარებული. როგორც უცხოელების ნაშრომებიდან ჩანს ალავერდელი მიტროფანე მათ ყურადღებას იქცევდა თავისი განათლებით, პირდაპირობით და მართლმადიდებლობის დაცვაში კომპრომისზე წაუსვლელობით. მისიონერები მიუხედავად იმისა, რომ მიტროფანე ალავერდელი თავიანთ მტრად მიაჩნდათ, მაინც აღნიშნავენ მის დადებით თვისებებს და მას თეატინელთა რომელი ხელმძღვანელებიც კი ანგარიშს უწევდნენ.

მეთოდები: წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებული მეთოდებია: ემპირიული ანალიზი, შედარებითი ისტორიული მეთოდი, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, სისტემური აქნალაზი.

შედეგები და მსჯელობა:

XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო მოღვაწე, მისიონერებისთვის ყველაზე ცნობილი ქართველი იერარქი, კოლორიტული პიროვნება იყო ალავერდელი მიტროპოლიტი მიტროფანე (mitrofone alaverdelis Sesaxeb ix. pietre avitabile, 1977: 73; arzanjelo lamberti, 2020: 125, 143, 188, 210, 211, 287, 288, 307, 308, 310, 312, 409-410; kristoforo kasteli, 1976: 87, 110; Don Cristoforo Castelli, 1980: 20, 34, 41, 43-45, 54-56, 60, 61, 64; Гамахадия Дж. 2014: 38, 105; TayaiSvili e. 2017: 211-212; gabisonia p., 2008: 32; kaWarava e. 2009: 274-293; berelaSvili e. 2013: 61-63). მისი გვარი არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში არ არის დაფიქსირებული. მხოლოდ ორი არაპირდაპირი ცნობა გვაქვს კრისტოფორო კასტელის მიერ დახატული მხედრის პორტრეტზე, რომელსაც კასტელმა მიაწერა, რომ გამოსახული იყო ვინმე შაბატარ/საბახტარ ავალიშვილი, მისიონერების მტრის, ალავერდელი მიტროპოლიტის მმა.

რაც შეეხება მიტროფანეს სტატუსის მსაზღვრელ – ალავერდელს, შეიძლება ითქვას, ასეთი მაღალი წოდების იერარქებს ძველად და ახლაც, თითქმის ყოველთვის სახელითა და წოდებით აღნიშნავენ და თვით პიროვნებას მიმართავენ გვარის გარეშე, იშვიათად ამბობენ მათ გვარებს.

ფრიად საინტერესო და საკამათოც არის კათოლიკე მისიონერების მიერ დატოვილი ცნობები ალავერდელ მიტროპოლიტ მიტროფანეს შესახებ. მათ შემდგომ გავეცნობით.

მცირეა ქართული წყაროები მიტროფანე ალავერდელის შესახებ. მასთანაა დაკავშირებული მხოლოდ ორი ხელოვნების ნიმუში. ისინი შესწავლილია მკვლევარ-მეცნიერთა მიერ, რომელთა მოსაზრებებს ქვემოთ გავეცნობით.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული 'მიტროფანეს მიტრა' განეკუთვნება მიტროპოლიტ მიტროფანე ალავერდელს, ძნელია რაიმეს თქმა მისი მოღვაწეობის დასაწყისზე. მიტრაზე ნუსხური წარწერიდან ვიგებთ: *'მოიხსენე უ(ფალო) მ(ო)ნა მ(ე)ნი მიტროფანე მღრდელთ მთავარი, რ(ომლ)ისა არს გვ(ი)რ-გ(ვინი) ესე და რ(ომელმ)ან შეამკობინა ესე და თვ(ი)სნი და მეგობარნი მისნი'* (ბერელაშვილი ე. 2013: 20).

მეორე და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წყარო მიტროფანე ალავერდელის ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტის აღსადგენად არის ქეთევან წამებულის წარწერა ღვთისმშობლის ხატზე, რომელზეც ვრცლად ქვემოთ აღინიშნება.

არ ვიციტ ზუსტად როდის მოხდა მიტროფანეს მთავარეპისკოპოსად და, შესაბამისად, ალავერდელად ხელდასახმა. ერთი რამ ცხადია, ჯერ კიდევ 1619-20 წლებში ალავერდის წმ. გიორგის ტაძარში იერუსალიმის პატრიარქმა თეოფანისმა მთავარეპისკოპოსად აკურთხა დაახლოებით 10 წლის ზეზედე (Полиевктов М. 1937: 393), რომლის ვინაობაზე სხვა არაფერი ვიციტ. თუმცა რუსი ელჩები (1637 წ. 1 მაისი_1640 წ. 22 იანვარი) ფედორ ფედორესძე ვოლკონსკი და დიაკი არტემ ივანეს ძე ხვატოვი, მეფის მიერ ელჩების ოფიციალურ და საპატივსაცემო მიღებებზე, ფიცის დადებისა და ხელშეკრულების გაფორმების დროს, ხშირად ახსენებენ ამ ღონისძიებების აქტიურ მონაწილეს, ალავერდელ არქიეპისკოპოს ზეზედეს.

ზეზედეს ხელდასახმასთან დაკავშირებით გვაქვს ფ. ფ. ვოლკონსკისა და ა. ი. ხვატოვის კახეთში ელჩობის ანგარიშის ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნობა. პირველის მიხედვით, ზეზედე არქიეპისკოპოსად უკურთხებია სამთავროს მონასტრის არქიეპისკოპოსს, სამთავნელ იოანეს. როცა რუსები ალავერდში იყვნენ, ზეზედე მაშინ 30 წლისა იყო და სულ სამი წელი გასულა მისი ხელდასახმიდან, ე. ი. ის დაბადებიდან 27 წლის იყო, როცა ხელდასახეს. ეს ჩანაწერი 1639 წ. 11 სექტემბრით თარიღდება. მეორე კი – განეკუთვნება 1640 წ. 19 აპრილს. რუსი არქიმანდრიტის, იოსების კითხვაზე, როდის იყო იერუსალიმის პატრიარქი თეოფანისი საქართველოში, არქიეპისკოპოსმა ზეზედემ უპასუხა, ოცი წლის წინათო. იოსებს ისიც დააინტერესდა, რამდენი ხანი დარჩა თეოფანისი საქართველოში. ზეზედეს ეს არ ახსოვდა, რადგან იმ დროს მცირე ასაკისა იყო, მაგრამ ის კი სთქვა, რომ თეოფანისმა მაშინ მაკურთხა არქიეპისკოპოსადო. გამოდის, რომ პატრიარქი თეოფანისი საქართველოში ყოფილა 1619-1620 წლებში. ზეზედე, როცა ის თეოფანისმა აკურთხა, 10 წლის უნდა ყოფილიყო. კიდევ ერთი არაპირდაპირი ცნობა გვაქვს, რომელიც ასევე თეოფანისის საქართველოში ყოფნის დროის დასადგენად გამოდგება.

იერუსალიმის პატრიარქს ზეზედე იმდენად ყმაწვილი (დაახლ. 10 წლისა) უკურთხებია, აღნიშნულ უმაღლეს საეკლესიო თანამდებობაზე, რომ შემდეგში ეს აქტი ანულირებული იქნა და იგი სამთავროს არქიეპისკოპოსმა იოანემ ხელმეორედ აკურთხა.

* * *

ერთ ასეთ ამბავს მოგვითხრობს დონ პიეტრო დელა ვალე სპარსეთიდან იტალიაში გაგზავნილ პირველ წერილში: 1617 წლის 12 მარტს, კვირადღეს მასთან სახლში მივიდნენ 'ძალიან ცნობილი ქართველი ქრისტიანი ქალები', ისინი, რომლებიც ისფაჰანში იყვნენ დაბინავებულნი. მივიდნენ ორნი, მაგრამ სინამდვილეში სამი დანი იყვნენ. ერთი შეუძლოდ იყო. მათ ჰყავდათ ძალიან ცნობილი და სახელოვანი ძმა, ალავერდის მიტროპოლიტი (სა-ვარაუდოდ, მიტროფანე ალავერდელი), რომელიც ყიზილბაშებმა ასევე დატყვევებული ჩაიყვანეს სპარსეთში (Pietro della Valle, II _ 1843: 469). საინტერესო უნდა იყოს ირანოლოგის, საფავიდების პერიოდის სპარსეთის ისტორიის სპეციალისტის როჟერ სავორის ერთი ცნობა, რომლის მიხედვით შაჰ აბასმა 1614 წელს საქართველოდან ჩაიყვანა 130 ათასი ტყვე და მთელ სპარსეთში გაფანტა (Aptin Khanbaghi, 1995: 131).

რახან შაჰ აბასის მიერ საქართველოდან წაყვანილი მოსახლეობის რაოდენობა ვახსენეთ, უნდა გავიხსენოთ ამასთან დაკავშირებული კიდევ უფრო საინტერესო დელა ვალეს ინფორმაცია, რომ 1619 წლის ცამეტ თებერვალს პიეტრო დელა ვალესთვის ფერჰაბადიდან ისფაჰანში ჩასულ ერთ სომეხ უცნობებია: „სარწმუნოდაა ცნობილი, როგორც სხვა წყაროებიდან ადრე შევიტყე, წერდა დელა ვალე, – ფერჰაბადში იყო საქართველოდან წაყვანილი სომეხების ორმოცი ათასი სახლი (ოჯახი), თორმეტი ათასი ქართველების და შვიდი ათასი ებრაელების, თუ არ ჩავთვლით შირვანელი მაჰმადიანების ოცდახუთ ათას სახლს“ (Pietro della Valle, 1843: I _ 847; მამისთვალშიშვილი ე. 2022: 367).

დელა ვალეს მიხედვით, გამოდის, რომ შაჰ აბასს საქართველოდან წაუყვანია დაახლოებით 60 ათასი ოჯახი. კლასიკური გამოანგარიშებით თუ მივუდგებით ამ რიცხვს, მივიღებთ დაახლოებით 295 ათას სულს. ძნელია იმის თქმა, რომელი რიცხვია სიმართლესთან ახლოს. ერთი რამ კი უნდა ითქვას, რომ დელა ვალე იმასაც მოგვითხრობს სად და როგორ პირობებში დაასახლეს ტყვედწაყვანილები და როგორ ეგუებოდნენ გარემოს.

* * *

დელა ვალეს, როგორც ჩანს, დასახელებულ ქალბატონებთან იმდენად კარგი ურთიერთობა ჰქონდა რომ ერთ-ერთი მათგანი მისი ნათლიდეთა იყო.

ქართველმა ქალბატონებმა დელა ვალეს და მის მეუღლეს, ქალბატონ მანის, დასაცავად და აღსაზრდელად ჩააბარეს თავიანთი ახლო ნათესავი ობოლი გოგო, 7 წლის თინათინ მარია ზიბა, კახელ დიდებულთა ოჯახიდან გამოსული. წარსულში ამ ოჯახთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქეთევან წამებულს. დელა ვალეს საქართველოს მიმართ პოზიტიურ განწყობაში იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ შემდგომში თინათინ მარია ზიბა დაქვრივებული დელა ვალეს მეუღლე გახდა. იგი იყო დელა ვალეს წერილებიდან ცნობილი მარიუჩა, ხოლო რომის მაღალი საზოგადოებისათვის მარია თინათინ ზიბა პიეტრო დელა ვალე.

საინტერესოა დელა ვალეს ნათქვამი ალავერდელი მიტროპოლიტის ნათესავებზე, საიდანაც ჩანს რომ ისინი მრავლად იყვნენ სპასეთში და მათ დელა ვალეს აზრით, შეეძლოთ დახმარებოდნენ ავგუსტინელ ბერებს, რომლებიც ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების საქართველოში გადასვენებას აპირებდნენ. მათ დაეხმარებოდნენ აგრეთვე სხვა მრავალი წარჩინებული ქართველები.

ქართველ ქალბატონებზე საუბარს აღარ გავაგრძელებ მათ შესახებ ვრცლად ვისაუბრე პიეტრო დელა ვალესთვის მიძღვნილ მონოგრაფიაში.

შევჩერდეთ ალავერდელ მიტროპოლიტზე რომლის შესახებ ქართულმა წერილობითმა წყაროებმა თითქმის არაფერი შემოგვინახეს. ამიტომ მივყევით იტალიურ წყაროებს ალავერდელის საქართველოში დაბრუნებიდან მისი სიცოცხლის დასასრულამდე.

მეფე თეიმურაზსა და ალავერდელ მიტროპოლიტზე საუბრის დასრულების შემდეგ, დელა ვალე დაასკვნის: *‘ერთის სიტყვით როგორც მეფემ ისე ალავერდ მიტროპოლიტმაც, რომელიც ითვლებოდა, როგორც ფრიად გონიერი კაცი და რომის საქმის ერთგულად მსახური, გამოიჩინეს თვითონ პატრის (ჯოვანი ტადეო დე სანჯელისეო) სიტყვით რომის ეკლესიისადმი ისეთი გულმოდრეკილება, რომ მეტი აღარ შეიძლება’* (Don Pietro Della Vale, 1693: 1-14; პიეტრო დელა ვალე, 1879: 33 [29-64]).

დელა ვალე ცდილობს დააინტერესოს პაპი, ყურადღებით იყოს საქართველოს მიმართ. ის პაპისათვის წარდგენილ თავის მოხსენებაში წერს: *‘მაშინ როდესაც სამოციქულო ტახტმა ამოდენი იზრუნა ყველა სხვა აღმოსავლეთის ხალხების შემოერთებისათვის, ქართველე ბის შესახებ კი არავის არაფერი გახსენებია. თუმცა ესენი არც უფრო შორს და უფრო მიუწვდომელნი არიან სხვებზე, არც ღვთისა ნაკლებად საყვარელნი, არც რომის ეკლესიის წინაშე ნაკლები ღირსება აქვს. მათ ჩვენების ამისთანა გულგრილობამ ქართველებისადმი რომელიც სუფევს ეხლაც, მაიძულა მე მომეხსენებინა მათი ამბავი’*. დელა ვალე პაპს იმ ყოველივეს, რასაც მას ქართველებზე სწერს, სხვებისგან კი არ აქვს მოსმენილი, არამედ მას პირადი ურთიერთობა და სულიერი ნათესაობაც კი აქვს მათთან. იგი პაპს ევედრება, რომ დაეხმაროს მათ, რითაც დიდ დამსახურებას მოიპოვებს ღვთისა და ქვეყნის წინაშე (პიეტრო დელა ვალე, 1879: 60-61).

როდესაც შაჰმა ხსენებული ქალბატონების, მათი ქმრებისა და ძმის გამუსლიმანება განიზრახა, ალავერდელმა მიტროპოლიტმა (მიტროფანემ) სპარსეთიდან წარმატებული გაქცევა განახორციელა, რასაც აღნიშნავდა პიეტრო დელა ვალე და ეს დადასტურდა მის მიერ ლევან მეორე დადიანისათვის მირთმეული სპარსეთიდან ჩამოტანილ ღვთისმშობლის ხატზე მის მიერ დამატებით გაკეთებული წარწერით: *‘ალავერდელსა მიტროფანეს, ისპაანს თეთრით დაეხსნა სახე ესე თქუენი პატიოსანი პირველ დავით არაგვის ერისთავსაგან მოჭედილი და ნამკობი’* (თაყაიშვილი, 1910: 229).

სამშობლოში დაბრუნებული მიტროფანე ყიზილბაშების წინააღმდეგ მებრძოლ თეიმურაზ მეფეს დაუდგა მხარში. მისი როლი მარაბდის ველზე ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმის შემუშავებაში გამოჩნდა. იგი სხვა ეპისკოპოსებთან (ხარჭაშნელი, რუსთველი, მროველი) ერთად მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედების დაგეგმვასა და ბრძოლაშიც მონაწილეობდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 283).

ალავერდელი მიტროპოლიტი, რომელიც, როგორც მის შესახებ შემონახული უცხოური ცნობებიდან ჩანს, აქტიური პიროვნება იყო და მონაწილეობდა ყველა ბრძოლაში, რომელიც ქვეყნისა და ეკლესიის დაცვას ისახავდა მიზნად. მარაბდასთან განცდილი მარცხის შემდეგ, რომელსაც შეიძლება გამარჯვება ვუწოდოთ, რადგან ამის შემდეგ შაჰ აბას I-მა საბოლოოდ აიღო ხელი ქართლ-კახეთის იარაღით დაპყრობაზე.

ალავერდელი ალავერდის ეპარქიას ხელმძღვანელობდა 1633 წლამდე, ვიდრე როსტომ მეფე თეიმურაზ მეფეს განდევნიდა დასავლეთ საქართველოში. ყიზილბაშების წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი მიტროფანე ალავერდელიც დასავლეთ საქართველოში გადავიდა და თეიმურაზის მოწინააღმდეგე ოდიშის მთავარ ლევან დადიანთან შეაფარა თავი. ამის შემდეგაც მან სიმბოლურად შეინარჩუნა ალავერდელის ტიტული.

საკითხავია, რატომ მიატოვა ალავერდელმა მიტროპოლიტმა მიტროფანემ თეიმურაზ მეფე? ან მგემ რატომ აღარ ინდომა იგი? შეიძლება ვარაუდი: თუ გავითვალისწინებთ თეიმურაზისა და მიტროფანეს ბუნებას, რომლებისთვისაც უცხო იყო კომპრომისი, ვერ შეეგუენ ერთმანეთის პრინციპებს და მათი გზები გაიყარა. მაგრამ თუ გავიხსენებთ, შემდგომში ლევან II დადიანისათვის მის ნათქვამსაც ქართლიდან ოდიშში გადასული კათოლიკე მისიონერების წინააღმდეგ, გასაგები ხდება, რომ ის ვერ ეგუებოდა თეიმურაზის მიერ კარგ პირობებში ჩაყენებულ იმავე მისიონერებს. ამგვარად, მათ შორის დაპირისპირების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიზეზი ქართლ-კახეთის მეფის მისიონერებისადმი კარგი დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო (ვრცლად ქვემოთ). როგორც ჩანს, მიტროფანე ალავერდელის და თეიმურაზ მეფეს შორის დაძაბული ურთიერთობა ცნობილი იყო ლევან დადიანისთვის, ამიტომ მან მიტროპოლიტი თავის სამთავროში მიიწვია. მთავარი ხომ თავის კარზე ეპატიჟებოდა თეიმურაზ მეფესთან დაპირისპირებულ ცნობილ ადამიანებს. მიტროფანეს თანადროულად ხომ ოდიშში თავშესაფარი და დიდი პატივი ჰპოვა ნიკიფორე ირბახმა (თეიმურაზსა და ნიკიფორეს შორის განხეთქილებაზე იხ. მამისთვალისშვილი, 2011: 281-313)

* * *

საინტერესოა დონ პიეტრო დელა ვალეს ნათქვამი ალავერდელი მიტროპოლიტის ნათესავებზე, საიდანაც ჩანს, რომ ისინი მრავლად იყვნენ სპასეთში და მათ, დელა ვალეს აზრით, შეეძლოთ დახმარებოდნენ ავგუსტინელ ბერებს, რომლებიც ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების საქართველოში გადასვენებას აპირებდნენ. მათ დაეხმარებოდნენ აგრეთვე, მრავალი წარჩინებული ქართველები.

ალავერდელ მიტროპოლიტ მიტროფანეზე ქართულმა წერილობითმა წყაროებმა თითქმის არაფერი შემოგვინახეს, ამიტომ მივეყვებით იტალიელთა ცნობებს ალავერდელის სპარსეთიდან საქართველოში დაბრუნებიდან მისი სიცოცხლის დასასრულამდე. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა კრისტოფორო კასტელის წერილები, საიდანაც ჩანს, რომ ის პირადად იმდენად კარგ დამოკიდებულებაში იყო ალავერდელთან, რომ ამ უკანასკნელმა სიცოცხლის დასასრულს კასტელთან ყოფნა ისურვა.

პიეტრო დელა ვალე 1627 წელს პაპ ურბან VIII-ს მოახსენებდა, რომ შაჰ აბასი წინათ მეგობრულად იყო განწყობილი თეიმურაზ მეფის მიმართ, ნათქვამის დასტურად მას მოაქვს ის ამბავი, რაც თეიმურაზის პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ მოხდა. შაჰმა მგლოვიარე მეფეს სამძიმარი შეუთვალა და წერილიც გაუგზავნა ფეხშიშველი კარმელიტი მამა ჯოვანი ტადეო დე სან'ელისეოს ხელით, რომელიც ამჟამად სპარსეთშიაო - წერდა პიეტრო დელა ვალე, - მაგრამ როდესაც ჯოვანი ტადეო კახეთს ეწვია შაჰის წერილით, ის უკვე ავგუსტინელთა ორდენის კარმელიტების მისიას ხელმძღვანელობდა სპარსეთში. მეფე

თეიმურაზმა მის მიმართ გამოავლინა უაღრესი კეთილგანწყობილება. მას მეგობრობა შესთავაზა და დიდი პატივისცა არა როგორც სპარსეთის მეფის გამოგზავნილს, არამედ, როგორც დელა ვალე წერდა, კაცურ კაცს და ევროპელ (კათოლკე) სამღვდელ პირს. მას საჯაროდ აწირვინა თავის უმთავრეს ეკლესიაში, რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ ალავერდის ტაძარი. წირვას ესწრებოდა მიტროპოლიტი. მეფესაც უნდოდა დასწრება, მაგრამ ხელი შეუშალა რაღაც გარემოებამ.

მეფე თეიმურაზსა და ალავერდელ მიტროპოლიტზე საუბრის დასრულების შემდეგ, დელა ვალე დაასკვნის: *‘ერთის სიტყვით, როგორც მეფემ ისე ალავერდ მიტროპოლიტმაც, რომელიც ითვლებოდა როგორც ფრიად გონიერი კაცი და რომის საქმის ერთგულად მსახური, გამოიჩინეს თვითონ პატრის (ჯოვანი ტადეო დე სან’ელისეო) სიტყვით, რომის ეკლესიისადმი ისეთი გულმოდრეკილება რომ მეტი აღარ შეიძლება’*. დელა ვალე ცდილობს დააინტერესოს პაპი, რათა ყურადღებით იყოს საქართველოს მიმართ. ის პაპისათვის წარდგენილ თავის მოხენებაში წერს: როდესაც სამოციქულო ტახტმა დიდად იზრუნა და ზრუნავს აღმოსავლეთის ხალხების რომის ეკლესიასთან შემოერთებისათვის, ქართველები არავის ახსოვს, მაშინ როდესაც ქართველები მათთან შედარებით უფრო ახლოს არიან, ღმერთსაც უყვარს და ეკლესიის წინაშეც დამსახურება აქვთ. დელა ვალე პაპს მიმართავს: ჩვენების ამისთანა გულგრილობამ ქართველებისადმი, აიძულა იგი ურბან მერვისათვის მოეხსენებინა ქრთველების მდგომარეობის შესახებ, რომ მრავალ მათგანთან სულიერი ნათესაობა და მეგობრობაც ჰქონდა. ამასთანავე დიდის გულმოდგინებით ევედრება, რომ პაპმა ინებოს მათი დახმარება, რამდენადაც ეხლა ნაკლებად აქვთ რელიგიური ცდომილებანი. პაპი ამით მოიპოვებს მეტ დამსახურებას ღვთისა და ქვეყნის წინაშე (პიეტრო დელა ვალე, 1879: 60=61).

* * *

შეგვიძლია ვთქვათ, რომ სპარსეთიდან გამოქცეული დიდებული კახელი სასულიერო პირი, ალავერდელი მიტროპოლიტი, ყიზილბაშებმა კახეთის ბოლო დალაშქვრის დროს, 1617 წელს, ნათესავებთან ერთად დაატყვევეს და სპარსეთში წაიყვანეს. სავარაუდოა მას სპარსეთში გარკვეული კონტაქტები ჰქონდა ქეთევან დედოფალთან. პირად კონტაქტებს გამოვრიცხავ. დედოფალი შირაზის ტყვეობის დროს უცხო მამაკაცებს არ ხვდებოდა, მაგრამ მოსალოდნელია კონტაქტის სხვა ფორმა, თუნდაც ისეთი, როგორიც პიეტრო დელა ვალეს ჰქონდა ტყვე დედოფალთან.¹

მიტროფანეს ქეთევან დედოფალთან შირაზში რაღაცა ფორმით კონტაქტის არსებობის მაჩვენებელი უნდა იყოს, ტყვეობიდან გამოქცეული ალავერდელის მიერ ისფაჰანიდან წამოღებული ღვთისმშობლის ხატი, რომლის არსებობა ალავერდელმა კახეთიდან იცოდა და დედოფლის წამებით მოკვდინების შემდეგ მოსძებნა იგი, გამოისყიდა და საქართველოში მასთან ერთად დაბრუნდა. დასახელებული ხატი მკვლევარებიდან პირველმა მარი ბროსემ ნახა წალენჯიხის ტაძარში, რომელიც ოდესღაც ალავერდელი მიტროპოლიტის მიტროფანეს ეპარქიის ცენტრი იყო და იქვე გარდაიცვალა. როგორც ჩანს, ალავერდელმა მოუყვა ლევან

¹ ქეთევან დედოფლის შირაზში ტყვეობაში ცხოვრების პირობებისა და მის ახლობელი ადამიანების შესახებ იხ. მამისთვალისშვილი ე. 2022: გვ. 123-187.

დადიანს როგორ მოიპოვა ხატი. ლევან დადიანი ხატზე გაკეთებულ წარწერაში ამბობს: *‘ალავერდელსა: მიტროფანეს: ისპაანს: თეთრით: დაეხსნა: სახე: ესე: თქუენი: პატიოსანი: პირველ: დავით: არაგვის: ერისთავს: მოჭედილი: და: ნამკობი’*. ხატზე წარწერა სარწმუნოს ხდის, რომ ხატის დამკვეთი იყო არაგვის ერისთავი, რომელმაც მასზე ქეთევან დედოფლის სასურველი წარწერა გააკეთებინა. არ ვიცით რა ფორმით ან რატომ გადასცა მან იგი კახეთის სამფო ოჯახს, როცა მცირე ხნით მეფობდა დავით I. უეჭველია, ხატზე წაწერილი ტექსტის ავტორი იყო ქეთევან დედოფალი, რომელსაც ხატი თან ჰქონდა ტყვეობაში. როგორც ლევან დადიანის იმავე ხატზე წარწერიდან ვიგებთ, იგი ალავერდის მიტროლიტმა მიტროფანემ ისფაჰანში ნახა და ფულით გამოისყიდა.

სრულიად მოსალოდნელია, რომ ქეთევან დედოფლის წამებით მოკვდინების შემდეგ, მისი ქონება მწამებლებს დაეტაცათ. მათ შორის ერთ-ერთი ეს ხატიც იყო, რომელიც ეხლა ჩვენი ინტერესის საგანია. აქვე იმის გახსენებაც შეიძლება, დედოფალი სპარსეთის ტყვეობის დროს, როგორ აგროვებდა იმ ქართულ წიგნებს, რომლებიც მუსლიმანებმა მისი განადგურებული სამშობლოდან ჩაიტანეს. დედოფალი მუსლიმანების ხელიდან მათ დახსნაზე მუდმივად ზრუნავდა (Pietro della Valle, 1843: 372-373).

ხატზე წარწერაში ნათქვამია: *„ხელ ვყავი მკობად ხატისა ამის შენისა... მადიდებელი შენი დავით დაიკვე, ხოლო თანამეცხედრე მისი ქეთევამ ძითურთ მათით დაიფარენ. ა-ნ“* (ამინ) (ჟორდანი, 1897: 446).

წარწერით ქეთევანში (ქეთევანი) ავედრებს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს დავითს, თავის ქმარს, თავის თავს და თავიანთ ვაჟს – თეიმურაზს.

ამგვარად, ეს ხატი უნდა შექმნილიყო ქეთევან დედოფლის მზრუნველობით. წარწერაში თხოვნაა ღვთისმშობლისადმი დაიცვას მეფე დავითი, რომელიც, სავარაუდოა, უკვე მძიმედ იყო ავად. ის გარდაიცვალა 1602 წელს და ხატიც მასზე წარწერით, მაშასადამე უნდა შექმნილიყო 1602 წლამდე ანუ, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო დედოფლის მეუღლე მეფე დავითი.

ქეთევან დედოფლის წარწერა, რომელიც თედო ჟორდანიას მიხედვით, ამოღებულია მ. ბროსეს *‘მეცხრე ანგარიშიდან’*, დაზუსტებას მოითხოვს. აი რას სწერს მ. ბროსე თედო ჟორდანიას მიერ ხსენებულ ანგარიშში: *„ჯერ კიდევ არსებობს ღვთისმშობლის ოქროს ხატი, რომლის შესახებაც შემდეგი შენიშვნა დავწერე, ან მღვდელ ნიკოლოზის ცნობების მიხედვით, ან მასზე დაწერილის მიხედვით: არ მახსოვს. ეს ხატი ისფაჰანში იყიდა ალავერდის მიტროპოლიტმა მიტროფანემ: ის არაგვის ერისთავის ხარჯზე იყო დამზადებული. ალავერდელი, რომელიც [ქართლის] მუსლიმებისგან გაქცევას აპირებდა, ლევან დადიანის მეთაურობით სამეგრელოში ჩავიდა და ხატი ამ მთავარს გადასცა, რომელმაც ის თავის ლითონის ყუთში ჩადო“* (Brosset M. 1851: 21). როგორც ჩანს, მარი ბროსეს ანგარიშში არ ჩანს ხატზე ქეთევან წანებულის ღვთისმშობლისადმი ვედრების ტექსტი. სავარაუდოა იგი თ. ჟორდანიამ ნახა (?) და გადმოეწერა წალენჯიხას ტაძარში დაცული ხატიდან.

დასახელებული ხატის შემდგომი ბედის შესახებ ჯერ-ჯერობით არაფერი ვიცით. ე. ბერელაშვილი იმოწმებს რ. შმერლინგს, რომლის თქმით, ხატი წალენჯიხის ეკლესიაში იყო 1920 წლამდე, ვიდრე ეკლესიას გაძარცვავდნენ (Шмерлинг, 1942: 149).

აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში, მიტროფანე ალავერდელის საქმიანობიდან ერთს, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანს ასახელებს არქანჯელო ლამბერტი: მიტროპოლიტს გრემის მახლობლად, კავკასიის მთებში მოსახლე ველური ხალხი ათასობით მოუნათლავს და ამგვარად, ისინი გააქრისტიანა. მიტროფანე მიტროპოლიტისა და სხვა მართლმადიდებლების მიერ ჩატარებული მასობრივი ნათლობის მიმართ პრეტენზია ჰქონდა არქანჯელო ლამბერტის, რომელსაც მიაჩნდა: *‘ჯერ ერთი, ყველა მათგანი არ მონათლულა და, მეორეც, ვინც მოინათლა, ისიც ჯეროვნად არ განსწავლულან ჩვენს რწმენაში. ამდენად, ჩვენს მამებს შეეძლოთ მოენათლათ ისინი ვინც ჯერ კიდევ არ განბანილიყო წმინდა ნათლობის წყლით, უკვე მონათლულნი კი ჯეროვნად განესწავლათ’* (დონ არქანჯელო ლამბერტი, 2020: 188). იგივე მისიონერი სხვაგან აღნიშნავდა: *‘თანდათან ვრწმუნდებოდით, რომ სიმართლე ალავერდელი ეპიკოპოსის მხარეს იყო და ამ ნათლობებს ძალა მართლა არ ჰქონდა’* (არქანჯელო ლამბერტი, 2020: 211).

ქ-ნი ევა კაჭარავა, თავის საინტერესო სტატიაში ლაპარაკობს თეიმურაზ I-ის მიერ მისიონერებისათვის გრემში მიწის გამოყოფის შესახებ. ამ ინფორმაციას მხოლოდ იმას დავამატებ, რომ ექვი არ მეპარება დელა ვალე აუცილებლად გამოჰკითხავდა ისფაჰანსა და სხვა ქალაქებში მცხოვრებ თავის ნაცნობ-მეგობარ ქართველებს მარიუქას ვინაობას, დარჩა თუ არა ვინმე კახეთში მისი ნათესავებიდან, მაგრამ ის ამის შესახებ არაფერს წერს, თუმცა როგორც დავრწმუნდებით ის ასეთ ინფორმაციას ფლობდა. მან საკმაოდ იცოდა მარიუქას მშობლების ყოფა-ცხოვრებისა და მისი სამშობლოს შესახებ. როგორც საქართველოდან რომში გაგზავნილი ერთი წერილიდან ჩანს, რომელიც განეკუთვნება იმ პერიოდს, როდესაც შეუღლებული დელა ვალე და მარიუქა უკვე რომში ცხოვრობდნენ. საქართველოში ჩამოსულმა მისიონერებმა იცოდნენ მარიუქას დაბადების ადგილის შესახებ, ალბათ, დელა ვალესგან. ისინი, დელა ვალეს დავალებას ასრულებდნენ, როდესაც გორის თეატინელთა მისიის ხელმძღვანელი დონ პიეტრო ავიტაბილე წერდა: *‘ჩვენ უკვე შემოვიარეთ კახეთისა და ქართლის დიდი ნაწილი... გავიარეთ იმ მხარეშიც, საიდანაც წარმოშობითაა ქალბატონი მარიამი. მისგან მოკითხვა გადავეცით მის ნათესავებს, მომავალში კიდევ არა ერთხელ გვექნება საშუალება ეს გავაკეთოთ’* (Don Bartolemeo Ferro, 1704: 98).

როგორც აღინიშნა, როსტომ მეფის მიერ ქართლის სამეფოს დაპყრობამ, თეიმურაზ მეფის დასავლეთ საქრველოში გადასვლამ, აიძულა მიტროფანე ალავერდელი იმავე გზას დასდგომოდა. არაა ცნობილი, როგორ აღმოჩნდა იგი თეიმურაზ მეფისადმი მტრულად განწყობილ ოდიშის სამთავროში. უფრო მეტიც, მან ლევან II დადიანის სამთავროში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა და გახდა მართლმადიდებლობის მოწინააღმდეგე ყველა ძალებთან ბრძოლის მეთაური. იგი იმდენად შეუპოვარი იყო, რომ პატრიარქის მიმართაც კი არ მიდიოდა დათმობაზე. ალავერდელსა და პატრიარქს შორის დაპირისპირება მომხდარა ნათლობის საკითხის გამო. პატრიარქმა ის მწვალებლად გამოაცხადა და განკვეთა, მაშინ, როდესაც მიტროფანემ, თავის გაგებით, არაწესიერად მონათლულების ხელახლა მონათლა დაიწყო (დონ არქანჯელო ლამბერტი, 2020: 210).

ალავერდელს სერიოზული გავლენა ჰქონდა თვით მრისხანე სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანზე. ნათქვამის საილუსტრაციოდ გამოდგება არქანჯელო ლამბერტის მონათხრობის

ერთი ეპიზოდი: მთავარმა მისიონერებს მიწა და ეკლესია გადასცა. შემდეგ მათ კიდევ მოეწონათ ორი ეკლესია და ის ადგილიც, სადაც ისინი მდებარეობდნენ. საეკლესიო დღესასწაულის დროს, რომელსაც ლევან დადიანიც ესწრებოდა, მის თანმხლებებთან ერთად იყო ალავარდელი მიტროფანეც. მთავარმა ნიკიფორე ირბახს, რომელიც მღვდელმთავრებთან და წინამძღვრებთან ერთად იმყოფებოდა, *„მისიონერების დაუძინებელი მტერი ალავერდელი ეპიკოპოსიც“*, რომელმაც მთავარს მიმართა: *„ეს რა მესმის! ამ ეკლესიას ლათინებს აძლევთ? არ იცით, რომ ესენი მწვალებლები და ჩვენი სარწმუნოების მტრები არიან? მათ აძლევთ ეკლესიას? მეგონა, მათ თქვენი სამფლობელოებიდან გაამძევებდით, თქვენ კი ისინი ჩვენს მღვდლებს გაუტოლეთ და ამხელა პატივი მიაგეთ! დაგავიწყდა რა დაემართა თეიმურაზს, რომელმაც ისინი თავის ქვეყანაში შეიფარა და ამით ღვთის რისხვა მოიწია...“* (დონ არკანჯელო ლამბერტი, 2020: 287).

ალავერდელის სიტყვების შემდეგ, მთავარმა შეაჩერა მისიონერებისთვის ეკლესიის გადაცემა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც მისიონერები მისი სამთავროს დატოვებით დაემუქრნენ, მათ სახლიც მისცა და ის ადგილიც, წიფურიაში რომ მოეწონათ, მიწებითა და ყმებით, გარდა ეკლესიისა, მის მაგიერ ახლის აშენებას დაჰპირდა, რადგან მართლმადიდებელი სასულიერო პირების განაწყენებას მოერიდა. მთავარმა დანაპირები შეასრული 1634 წლის ოქტომბერში. მან ეკლესიის ასაშენებელი ადგილი გადასცა მისიონერებს, ხოლო 1635 წლის მაისში ეკლესიის გადაცემაც ბრძანა, რაც შესრულდა 1635 წლის 14 ივნისს (დონ არკანჯელო ლამბერტი, 2020: 288-230).

ასეთ მიტროფანე მიტროპოლიტზე წერენ სამეგრელოში ჩასული რუსი ელჩები. მათ უშუალო კონტაქტები ჰქონდათ მიტროფანესთან და მისგან იღებდნენ ინფორმაციას სამეგრელოს სამთავროში ეკლესიური და რელიგიური ცხოვრების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მიტროფანეს რუსი ელჩები არასოდეს მოიხსენიებდნენ ალავერდელად, განსხვავებით კათოლიკე მისიონერებისგან, ის მათთვის ყოველთვის მიტროფანე მიტროპოლიტი იყო, ალბათ იმიტომ, რომ ალავერდელს უკვე კარგახნის წინათ დაკარგული ჰქონდა ალავერდის ეპარქია, რასაც რუსებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მისიონერების მხრიდან ასეთი „გაუგებრობა“ შეიძლება აიხსნას იმით, რომ ისინი რომში გაგზავნილ თავიანთ წერლებსა და მოხსენებებში მიტროფანეს ასახელებდნენ საეკლესიო წოდებით – ალავერდელი. XVI საუკუნიდან რომში უკვე იცოდნენ ამ ძლიერი და სახელოვანი ალავერდის ტაძრისა და მისი ეპარქიის შესახებ. არ გამოვრიცხავ, რომ მისიონერებიც სიტყვიერი ურთიერთობის დროს მას მიტროპოლიტ მიტროფანეს ეძახდნენ.

რუსი ელჩები ფედოტ ელჩინი და პავლე ზახარიევი სამეგრელოში იმყოფებოდნენ 1636-1640 წლებში. ისინი 1638 წლის 26 მარტს ესტუმრნენ მიტროპოლიტ მიტროფანეს მარტვილის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის მონასტერში. ამ დროიდან მოყოლებული ისინი ყურადღებას ამახვილებენ მიტროპოლიტის ინტერესზე, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიპოვოს ელჩებისაგან რუსეთის პოლიტიკური და საეკლესიო ცხოვრების შესახებ. ისინიც ანალოგიურ ინტერესს გამოხატავდნენ სამეგრელოს სამთავროს და, ზოგადად საქართველოს მიმართ.

ერთ-ერთი საუბრისას მიტროფანეს რუსი ელჩებისთვის უთქვამს: *“1633 წელს რომის პაპმა ჩვენს შესაცდენად ექვსი ბერი გამოგვიგზავნაო.² მეც საეკლესიო სამოსი და მიტრა გამომიგზავნა და ასე გვითხრა, რომ ქრისტიანული რწმენა დაკარგეთ, ჩვენ პაპმა გამოგვაგზავნა, რათა განგასწავლოთ და რწმენაში განგამტკიცოთო... ჩვენ კი ამის შესახებ შევიკრიბეთ და ვიმსჯელეთ. ვხედავთ, რომ ისინი ჩვენთან საცდურად მოვიდნენ და უარი ვუთხარით: არ გვინდა ჩვენ თქვენი სარწმუნოება და მოძღვრებაო”* (გამახარია ჯ. 2014: 302).

ციტირებულიდან განსაკუთრებით საინტერესოდ მიმაჩნია წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს მიერ მიტროპოლიტ მიტროფანესთვის საჩუქრების გამოგზავნა. რის შესახებაც რუსი ელჩები ლაპარაკობენ მიტროფანეს მონათხრობის მიხედვით. მიტროფანეს ნათქვამს ადასტურებს არქანჯელო ლამბერტი: *“წმინდა კონგრეგაციამ საქართველოში მისიონერებად მამა დონ ჯუზეპე ჯუდიჩე და მე გაგვამწესა. საგზალთან ერთად ორასი სკუდოც მოგვცეს საჩუქრებისათვის, რომელიც მეფის, პატრიარქისა და კახეთის ალავერდელი მღვდელმთავრისთვის უნდა გადაგვეცა”* (დონ არკანჯელო ლამბერტი, 2020: 143). ასეთი გადაწყვეტილებიდან კარგად ჩანს, რომში საკმაოდ სარწმუნო ინფორმაცია ჰქონდათ გავლენიან მიტროპოლიტ მიტროფანეზე პიეტრო დელა ვალეს და პიეტრო ავიტაბილესგან. ეს უკანასკნელი რუსი ელჩებისა და მიტროფანეს საუბრის წინ დაბრუნდა რომიდან და ჩამოიყვანა საჩუქრებით დატვირთული ჯუდიჩე და ლამბერტი.

მიტროფანესთვის საჩუქრის გაგზავნის წინადადება პირველად დააყენა პიეტრო ავიტაბილემ 1630 წლის 1 თებერვლის მოხსენებით ბარათში, რომელიც წარუდგინა წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიას. ასეთი საშუალებით, როგორც ავიტაბილე წერდა, შეიძლებოდა ალავერდელი *“გადმოხირება ჩვენს მხარეზე”* (ტაბალუა ი. 1987: 227).

მიტროფანეს სახელი არაერთხელ ჩნდება კათოლიკე მისიონერთა, მათ შორის კასტელის, წერილებში. მათი გადმოცემით, მიტროფანე იყო განათლებული, ღირსეული და პატივსაცემი მღვდელმთავარი, რომელმაც დიდი ძნელი გზა გაიარა ტყვეობიდან თავისუფლებამდე. მიუხედავად ამისა, მიტროფანესა და მისიონერებს შორის დოგმატური უთანხმოება არსებობდა, განსაკუთრებით ეკლესიის იურისდიქციისა და ხატთა თაყვანისცემის საკითხებში. თუმცა კასტელი მაინც მას პატივით მოიხსენიებდა.

თეატინელი ბერები ხშირად აღნიშნავდნენ მიტროფანეს სერიოზული განათლებისა და ამის გამო მის მაღალ ავტორიტეტზე მართლმადიდებლებს შორის, მაგრამ მას, როგორც ჩანს არასოდეს უთქვამს მათთვის, რომ საკმაოდ მაღალი სკოლა ჰქონდა გავლილი წმინდა მთაზე, ალბათ იმიტომ, რომ მათთან ყოველთვის კონფრონტაციაში იყო რწმენის საკითხების გამო. მიტროფანემ ერთმორწმუნე რუსებს, ალბათ მათ მიერ დასმული კითხვის პასუხად უთხრა: იგი წარმოშობით თეიმურაზის ქვეყნიდან, თბილისიდან იყო, 12 წელი წმინდა მთაზე მოღვაწეობდა და იქ ბერძნული განათლება მიიღო (გამახარია, 2014: 304).

² მიტროფანეს მხედველობაში ჰყავს საქართველოში ახალჩამოსული ის მისიონერები, რომლებიც 1633 წელს გორში მოვიდნენ, ესენი იყვნენ: დონ პიეტრო ავიტაბილე, დონ ვიჩენცო კარაფა, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, დი ჯუსტო პრატო, დონ არქანჯელო ლამბერტი და დონ კრისტოფორო კასტელი.

მიტროპოლიტი თავის შესახებ ვრცლად ესაუბრა მასთან ტრაპეზზე მიწვეულ რუს ელჩებს და უთხრა, რომ იყო წარმოშობით ქართველი (ქართლელი), თეიმურაზის სამეფოდან, თორმეტი წლის განმავლობაში იყო წმინდა მთაზე, იქვე ბერადაც აღიკვეცა, მიტროპოლიტად კი კონსტანტინოპოლის პატრიარქმა კირილემ ხელდასხა. რუსეთის ეკლესია და მისი მსახურები კარგად იცნობდნენ მართლმადიდებლურ სამყაროში დიდად ცნობილ პატრიარქ კირილე ლუკარის, რომელიც ოსმალებმა სიკვდილით დასაჯეს რუსების სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით. კირილე ლუკარისი დიდი საეკლესიო ავტორიტეტი იყო რუსებისათვის მათთვის. მის მიერ ხლდასხმულ მიტროფანეს, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა რუს ელჩებზე.

მიტროპოლიტმა ისიც გაიხსენა, რომელი საჩუქრები გამოუგზავნა რომის პაპმა ლევან დადიანს, პატრიარქსა და ყველა იერარქებს: საეკლესიო ტიპიკონი, სტიქარი, ეპიტრაქილი და მთელი საეკლესიო შესამოსელი. მაგრამ *დაჯილდოებულებმა* კრება მოიწვიეს იმის გასარკვევად, დასახელებული სამოსელი ჩაეცათ თუ არა? *კრებამ გადაწყვიტა, რომ ვინც აბანოში წავიდოდა, იმ სამოსელზე დამჯდარიყო და ისე ებანავა; ჩვენც ასე მოვიქცეთ* (გამახარია ჯ. 2014: 342). ასე შეურაცხევს პაპის საჩუქარი ქართველმა არქიელებმა.

დაბოლოს, უნდა განვიხილოთ მიტროფანე ალავერდელის რუსი ელჩებისათვის მონათხრობი 1640 წლის 17 აპრილს. მიტროპოლიტი ელჩებს მოუყვა: როდესაც ის ათონის მთაზე სასწავლებლად იმყოფებოდა, მაშინ შაჰ აბასმა საქართველო დალაშქრა. ძნელია გარკვევა მღვდელმთავარი შაჰ აბასის რომელ ლაშქრობას, ან საერთოდ შაჰ აბასის მიერ 1614-1617 წლებში მოწყობილ სამივე ლაშქრობას გულისხმობს? ასეა თუ ისე რთულია დადგინდეს მისი ათონზე ყოფნის დრო, ან, საერთოდ, სწავლობდა თუ არა ათონზე. ასეთი ეჭვი იმიტომ მაქვს, რომ პიეტრო დელა ვალეს მიხედვით, სპარსელების მიერ დატყვევებული მიტროფანე სპარსეთში იმყოფებოდა და მისი დები წუხდნენ, რომ მის მდგომარეობაზე არაფერი იცოდნენ (შემდეგში ვრცლად). ასე, რომ. ძალზე პირობითია იმის თქმა, რომ მიტროფანე დაახლოებით 1610-1622 წლებში იმყოფებოდა ათონზე (შდრ. კაჭარავა ე. 2009: 276), ვერც ის დადგინდება, რამდენი ხანი იმყოფებოდა სპარსეთში,

მღვდელმთავარმა თავისი სპარსეთში ყოფნისა და შაჰ აბასთან სტუმრობის შესახებ, რუს ელჩებს მოუთხრო ძალიან საეჭვო ამბავი, რომლის მონაყოლი ჩვეულებრივ, ყოველგვარი ემოციისა და კითხვების გარეშე ჩაიწერეს რუსმა ელჩებმა და მოახსენეს მოსკოვის *საელჩო საგანგოში*.

აი რა მოუთხრო ელჩებს მიტროფანე ალავერდელმა: საქართველოში შემოჭრილმა შაჰ აბასმა მიტროპოლიტის ზოგი ნათესავი მოკლა, ზოგი ტყვედ წაიყვანა, როცა წმინდა მთიდან დაბრუნებულმა მიტროპოლიტმა ეს ამბავი შეიტყო, შაჰთან წავიდა და თავისი ცოცხალი ნათესავების დათმობა სთხოვა, რადგან მას თავის ქვანაში წმინდა კაცად თვლიდნენ. შაჰს მისთვის მრავალჯერ უკითხავს ქრისტეს რაობის შესახებ. მიტროფანეს პასუხმა შაჰი დააკმაყოფილა, მან ქართველ ღვთისმსახურს სთხოვა: *შეიმოსე ისე, როგორც ღმრთისმსახურების დროს იმოსები. შაჰს კი ვუთხარი: შაჰო, თუ შენ ყეენების, სულათნებისა და შენი ყიზილბაშების არ გეშინია, მაშინ შევიმოსები; როგორც კი შევიმოსები, ჩემს შესაფერის ადგილზე დავჯდები, შენ მომეახლე, მანამდე თაყვანი მეცი და ხელზე მეამბორო. შაჰმა მითხრა,*

როგორც გინდა, ისე მოიქეცი, მე კი ამას ვერ გავაკეთებ, რომ მანამდე თავყვანი გცე და ხელები დაგიკოცნო, რადგანაც ამას ყიზილბაშები გაიგებენ და ამისთვის მომკლავენო. ამის შემდეგ შაჰმა გამომიშვა და მიწყალობა: გამომატანა ქართველი ტყვეები, ნათესავები და ყველა სხვაც, სულ სამასი კაცო (გამახარია, 2014: 348-349).

რა უნდა ითქვას მიტროფანე ალავერდელის იმ „სტუმრობაზე“ სპარსეთში, რომელიც მოუყვა თავის სტუმარ რუს ელჩებს? ვფიქრობ, მიტროფანეს წარმოდგენა არ ჰქონდა შაჰ აბასის პიროვნებაზე და მისი ცხოვრების წესზე, ან ის შეგნებულად ამახინჯებს რეალობას, რათა გარკვეული შთაბეჭდილება მოეხდინა თავის სტუმრებზე. ძნელია მისი მონათხრობის სერიოზული განხილვა. იქიდან ერთი რამ შეფერება სიმართლეს – ის ნამდვილად იმყოფებოდა სპარსეთში, მაგრამ არა როგორც შაჰის სტუარი, არამედ, როგორც როგორც ტყვე, რის შესახებაც პიეტრო დელოლა ვალემ გაგვაგებინა.

მიტროფანე ალავერდელის მონაყოლის მიხედვით შეიძლება ითქვას:

1. მას მხოლოდ გაგონილი ჰქონდა შაჰ აბასის ინტერესსა და 'პატივისცემაზე' არამუსლიმანური რელიგიების მიმართ და ამიტომ დაუხატა რუს ელჩებს შაჰთან სტუმრობის სიტყვიერი სცენა თავისი გამბედაობისა და იმ ღირსების შესახებ, რომელსაც შაჰ აბასიც კი პატივს სცემდა.

2. მისი მონათხრობიდან ისე გამოდის, რომ მიტროფანე მიტროპოლიტი ყიზილბაშებს არასოდეს დაუტყვევებიათ, როგორც ის აღნიშნავდა, ის თავის ნებითა და მოთხოვნებით ეწვია შაჰს;

3. ცნობილი იყო შაჰ აბასის ინტერესი სხვადასხვა რელიგიებისადმი, მათ ყურადღებით სწავლობდა და იყენებდა თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიაში. პიეტრო დელა ვალეს აღწერილი აქვს შაჰის მიერ მოწყობილი და მისივე ზედამხედველობით ჩატარებული საღვთისმეტყველო დისპუტი ახალ ჯულფაში სომხებს, ქართველებსა და ლათინებს შორის 1619 წლის 23 ოქტომბერს (ვრცლად იხ. მამისთვალისმეილი, 2022: 403-406).

4. მიტროფანე მართლა რომ მისულიყო შაჰთან და ისე მოქცეულიყო მის წინაშე, როგორც მოუყვა რუს ელჩებს, ადვილი მისახვედრია რით დასრულდებოდა მისი 'ვიზიტი' შაჰ აბასთან.

5. დასავლეთ საქართველოში გაქცეული მიტროპოლიტი შაჰს ისეთი დაჯილდოებული რომ გამოეშვა როგორც მან ელჩებს უთხრა, მაშინ მას სამეგრელოში თავშესაფარი აღარ უნდა დასჭირებოდა.

რეალობასთან ახლოს უნდა იყოს პიეტრო დელა ვალეს მონათხრობი მის ერთ-ერთ ვრცელ წერილში. მიტროფანე ალავერდელის დებს იტალიელისთვის უთქვამთ: მათი ძმა, 'ძალიან მდიდარი ალავერდელი მიტროპოლიტი შაჰს უკვე შეპყრობილი ჰყავდა და არ იცოდნენ, მათი ნათესავებიდან კიდევ ვინ იყო შაჰის ხელში. ქალბატონები დაუფიქრებლად, ნებით ჩაბარდნენ დამპყრობელს და წამოვიდნენ ისფაჰანში, იმ მტკიცე იმედით, რომ შაჰი ყოველთვის კარგად მოეპყრობოდა მათ. დასაწყისში, შაჰის კაცები მართლაც, კარგად ეპყრობოდნენ და არაფერს აკლებდნენ, მაგრამ შემდეგში შაჰი შეეცადა მათი ქმრებთან ერთად გამუსლიმებას. როდესაც უარი მიიღო, შაჰმა ისინი აითვალისწინა. ამას დაემატა მიტროპოლიტის წარმატებული გაქცევა საქართველოში და თეიმურაზ მეფის მიერ შაჰის წინააღმდეგ წარმოებული ომი.

ყოველივე ამის გამო მბრძანებელი მათ უცქეროდა როგორც ტყვეებს. მათ აღარ შეეძლოთ ისტაჰანიდან სადმე წასვლა. დელა ვალეს ძლიერ ეცოდებოდა ყოველგვარ საარსებო სახსარს მოკლებული ქალბატონები, რომლებმაც ყველაფერი გაყიდეს, რაც ებადათ, გაყიდეს ყმასახურებიც (Pietro della Valle, II, 1843: 470). ზემოთ მოხმობილი პიეტრო დელა ვალეს ინფორმაცია რომ ჰქონებოდა მკვლევარს, ალბათ არ იტყოდა, რომ *‘მიტროფანე შაჰ-აბასის ტყვეობაში არასოდეს ყოფილა’-ო* (კაჭარავა, 2009: 285).

* * *

როგორც მისიონერები მოგვითხრობენ, მიტროფანე ალავერდელი თავისი სიცოცხლის მიწურულს ლოიალური გახდა მისიონერების და მათი სარწმუნოების მიმართ. მის გარდაქმნაზე გვიყვებიან მისიონერები, მაგრამ მათ მონათხრობიც შეიძლება რეალობას აცდენილი იყოს.

დონ პიეტრო ავიტაბილე ლაპარაკობდა მისიონერი მღვდლების მიერ ჩატარებული ნათლობებში არსებულ პრობლემურ საკითხზე, კერძოდ ის, რომელიც ბოლო პერიოდში მათ თითქმის მოგვარებული ჰქონდათ, მაგრამ *‘ამ ბოლო დროს აღმოჩნდა, რომ ნათლობის სარიტუალო ფორმაში უწმინდესი სამების მესამე პირი არ იხსენიება. ეს შეცდომა ალავერდელმა აღმოაჩინა, რომელიც ქართველთა შორის პირველი მწიგნობარია, ნეტარი ცხოვრებითა და სხვა რამით ჩვენი მოწინააღმდეგეა, თუმცა კი ძალიან აფასებს ჩვენს სარწმუნოებას, როგორც ბრძენი’* (დონ პიეტრო ავიტაბილე, 1977: 73).

დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის მიხედვით მთავარეპიკოპოსი ალავერდელი, კათალიკოსის შემდეგ მთავარი საეკლესიო პირი იყო ოდიშის სამთავროში თავისი განსწავლულობითა და მეცნიერებით. ბუნებით მეტად ზვიადი, გამოირჩეოდა მისიონერებისადმი მტრობით. ის მისიონერებში სატანისებურ ადამიანებს ხედავდა, უარყოფდა წმინდა სულის გადასვლას ძეში. კათოლიკეებისათვის ასეთი უარყოფითი ხასიათების ალავერდელმა, რამდენიმე საუბრისა და ქართული წიგნების გაცნობის შემდეგ, გაიზიარა პატრების ცოდნა. ამ დროიდან ის რეგულარულად ესწრებოდა მათ წირვას, სახლში იწვევდა და რწმენის შესახებ თავის ეკვებს უზიარებდა. მიტროფანე ალავერდელის დახასიათების შემდეგ ჯუდიჩე წერდა: *‘იგი უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი და ჩვენს ხელში დალია სული’* (დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, 1964: 118). კრისტოფორო კასტელი კი გვიყვება, რომ მისიონერებიდან მხოლოდ ის შეესწრო წალენჯიხაში მიტროფანე ალავერდელის უკანასკნელ დღეებს.

* * *

მიტროფანე ალავერდელის ცხოვრების ზოგიერთ პერიოდზე საინტერესო ცნობებს ვნახულობთ კრისტოფორო კასტელის სხვადასხვა დროის წერილებში.

კასტელი ალავერდელ ეპიკოპოსზე პირველად ლაპარაკობს 1636 წლის 4 დეკემბრის წერილში, რომელიც მან გურიიდან გაუგზავნა თავის ბიძას, გრაფს, გრეგორიო კასტელის.

კასტელის გაგებით, ალავერდელი, რომელიც მისიონერების დაუძინებელი მტერია (ამასვე წერდა დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, 1964: 46) სურს გახდეს გურიის პროვინციის პატრიარქი. მას ადგილობრივები თვლიან სიწმინდისა და მართლმადიდებლური

დოქტრინების მცოდნე ორაკულად, მაგრამ, როდესაც კათოლიკე მისიონერების ეკლესიასთან მივიდა, იმდენად მოიხიბლა მისი სილამაზით, რომ თავი ვერ შეიკავა, შიგ შევიდა და ლოცვა აღავლინა (Don Cristoforo Castelli, 1980: 20).

კასტელის დაკვირვებით, ალავერდელი ეპისკოპოსი თანდათან ემზადება კათოლიკური ჭეშმარიტების შესაცნობად. თავიდანვე მისიონერის ნატვრა იყო, რაც შეიძლება მალე მოექცეს ალავერდელი კათოლიკობაზე. მაგრამ კასტელის ოცნება ნაადრევი იყო. მას კიდევ დიდხანს მოუწია მოთმენა მიტროფანე ალავერდელის მიერ კათოლიკეებისადმი უარყოფით მოპყრობაში დამოკიდებულების გამოვლინების, რაც განსაკუთრებით მკვეთრად გამოავლინა რენეგატ ტრაპიზონის მთავარეპისკოპოს კირილესადმი მკაცრ მოპყრობაში.

საბოლოოდ, როდესაც ალავერდელმა დაინახა და დარწმუნდა კათოლიკე მისიონერების კარგი საქმეები და მოქმედებები, ის, როგორც კასტელი წერდა, მისიონერებს დაუმეგობრდა და მათი წირვის სანახავად მივიდა. ამის შემდეგ ის ყველგან აქებდა კასტელის და მოინდომა მისი თავის, წალენჯიხის ეპარქიაში დატოვება გარკვეული დროით. მან სტუმარს შესთავაზა ოდიშის სამთავროში წალენჯიხის საეპისკოპოსოს ნაწილი (Don Cristoforo Castelli, 1980: 87).

კასტელი ალავერდელს ხშირად ესაუბრებოდა ბერძენთა (მართლმადიდებლების) ცთომილებებზე და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მას მეტი არაფერი სურდა, „რომ კურთხეულ ღმერთს განენათლებინა იგი“. უფალმა მას მოუვლინა სნეულება, რომელიც დაეწყო 1643 წლის 3 იანვარს. ავადმყოფმა სასწრაფოდ მიაყვანინა კასტელი წალენჯიხის მთებში, სადაც ავადმყოფი მიტროფანე იმ დროს იმყოფებოდა (Don Cristoforo Castelli, 1980: 87).

დაუძლურებული კასტელისთვის დათოვლილ მთებში გადაადგილება ძალიან რთული იყო. ავადმყოფმა მიტროფანემ ძლიერ განიცადა, როცა თითქმის გაყინული კასტელი დაინახა. ალავერდელი ძლიერ შიშს განიცდიდა თავისი განვლილი ცხოვრების გამო, რომელიც ღმერთს არ მოსწონდა, სურდა ეცხოვრა და მომკვდარიყო წმინდა პეტრეს და წმინდა პავლეს რწმენით. კასტელმა მომაკვდავი გაამხნევა და უთხრა, რომ მისმა ღვთაებრივმა უდიდებულებებმა გამოგვგზავნა ამ მხარეებში მისი ხსნისთვის და მე მზად ვიყავი ჩემი სისხლი და სიცოცხლე შემეწირა მის მოსაპოვებლად. ალავერდელისა და კასტელის საუბარს ესწრებოდნენ ბერძენი მონაზონები, რომლებმაც დიდი უკმაყოფილება გამოამჟღავნეს (Don Cristoforo Castelli, 1980: 61).

წალენჯიხის ეპარქიაში მყოფი ბერძენი სასულიერო პირები კასტელის ყოველმხრივ ავიწროებდნენ, ხელს უშლიდნენ და ეკლესიაში შესვლის საშუალებასაც კი არ აძლევდნენ. ალავერდელს არწმუნებდნენ, რომ ფრანკი, ე.ი. კათოლიკე კრისტოფორო კასტელი, შეაცდენდა ავადმყოფ არქიელს, მაგრამ ავადმყოფი ყურს არ უგდებდა მათ და ცდილობდა ის ყოველთვის თავის გვერდში ყოლოდა. მან საჯაროდ განაცხადა: სურდა სიკვდილი რომაულ-კათოლიკურ რწმენაში. ამის შემდეგ ბერძნებმა მაინც მოახერხეს კასტელის ჩამოშორება მიტროფანესგან. ზოგიერთი მეგობრის დაჟინებული ძალისხმევით კასტელი წალენჯიხიდან წაიყვანეს, რათა ბერძნებს არ ჩაექოლათ (Don Cristoforo Castelli, 1980: 61-62).

ძალიან საინტერესოა კრისტოფორო კასტელის მიერ საბოლოოდ დახასიათებული ალავერდელი მიტროპოლიტი მიტროფანე: *‘მეორე დღეს მისი გარდაცვალების შესახებ ყველა ამ [საქართველოს] სამეფოებში საყოველთაო ტირილით გამოცხადდა, რადგან მას ყველა*

თაყვანს სცემდა როგორც წმინდანს და სიბრძნის ორაკულად მიიჩნევდა. სინამდვილეში, ის დიდი სათნოების კაცი იყო. ყველა მისიონერმა, ვინც ამ ქვეყნებში იმყოფებოდა, იცის, სხვა არაფერი შეინიშნებოდა, გარდა რწმენაში ზოგიერთი შეცდომისადმი მისი გადაჭარბებული გულმოდგინებისა. მას სურდა სცოდნოდა სიმართლე, რომელიც უფალმა შესწირა მას სიკვდილის წინ, რაც მოხდა უახლოეს წარსულში, 10 იანვარს...~ (Don Cristoforo Castelli, 1980: 63).

კასტელი, ალავერდელზე საუბრის დასასრულს ერთ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის, როდესაც ის ჩვენთვის უცნობ ადრესატს სწერს, რომ ალავერდელი მიტროპოლიტი „ძალზე გამორჩეული იყო, სახსოვრად მის სურათს გიგზავნით“ (Don Cristoforo Castelli, 1980: 63).

წერილის დასასრულს კასტელი, რატომღაც მადლობას უხდის უცნობ ადრესატს და ატყობინებს: „ქართლის მთავარეპისკოპოსის, ალავერდელის პორტრეტს საკურთხეველთან ერთად გამოგიგზავნით, რომელიც ამჟამად მოწესრიგებული არ მაქვს“ (Don Cristoforo Castelli, 1980: 63).

დღეისათვის ცნობილ კასტელის ნახატების კოლექციებში ალავერდელის პორტრეტი არ იძებნება.

* * *

სრულიად ვიზიარებ ე. კაჭარავას მიერ გამოთქმულ ეჭვს მისიონერების ცნობების მიმართ, ალავერდელი მიტროპოლიტი მიტროფანეს სიკვდილის წინ კათოლიკობაზე მოქცევის შესახებ: *„მისიონერთა ამ ცნობების გადამოწმების საშუალება ჩვენ არ გვაქვს, თუმცა ვფიქრობთ, ეს ცნობები მათი ღვაწლის განდიდებას უნდა ემსახურებოდეს და რეალობას არ უნდა შეესაბამებოდეს“* (კაჭარავა, 2009: 291-292). მისიონერები, განსაკუთრებით კრისტოფორო კასტელი, რომელიც თავის მიერ ასეულობით და ათასეულობით კათოლიკობაზე მოქცეულ მართლმადიდებლებზე ლაპარაკობს, სიმართლეს რომ არ შეეფერება, კარგად გამოჩნდა 1634 წელს ერთი ქართველი მართლმადიდებელი ყმაწვილის – ნასყიდა/ანდრიას კათოლიკობაზე მოქცევას რა უარყოფითი შედეგი მოჰყვა მისიონერებისათვის გორსა და თბილისში. სხვა შემთხვევებზე ვრცლად სხვა დროს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ანთელავა, ი. (1990). ლევან II დადიანი, თბილისი.

ბერელაშვილი, ე. (2013). გვიანფეოდალური ხანის ქართული მიტრები: მხატვრულ-ისტორიული კვლევა. სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კულტურის კვლევების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად, თბილისი.

გაბისონია, პ. (2008). წალენჯიხის მონასტრის ისტორიიდან // შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, თბილისი,

- გამახარია, ჯ. (2014). გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636-1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბილისი.
- გუგუშვილი, პ. (1949). საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. მონოგრაფიები, ტ. I, თბილისი.
- დონ არქანჯელო ლამბერტი. (1938). სამეგრელოს აღწერა / თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი. მეორე გამოცემა. ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი,
- დონ არქანჯელო ლემბერტი. (2015). რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე) / იტალიური ტექსტი თარგმნეს და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბილისი.
- დონ არკანჯელო ლამბერტი. (2020). წმინდა კოლხეთი / იტალიურიდან თარგმნა გიორგი ცეტიშვილმა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ, თბილისი.
- დონ კრისტოფორო კასტელი. (1976), ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი.
- დონ პიეტრო ავიტაბილე. (1977). ცნობები საქართველოზე. (XVII ს.) შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბილისი.
- დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. (1964). წერილები საქართველოზე. XVII საუკუნე / იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი.
- თამარაშვილი, მ. (1995). ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე / რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი.
- თაყაიშვილი, ე. (1910). საქართველოს სიძველენი, 3. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ტფილისი.
- თაყაიშვილი ე. (2017). არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, თხზულებანი, ტ. 4, თბილისი
- კაჭარავა, ე. (2009). ამბა ალავერდელი მიტროფანე // ანალები, 2009, #4, თბილისი.
- მამისთვალიშვილი, ე. (2011). საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, XVII ს. პირველი ნახევარი - თეიმურაზ I-ის ეპოქა, თბილისი.
- მამისთვალიშვილი, ე. (2019). საფრანგეთის, პოლონეთის და საქართველოს ელჩების ბანკეტი კონსტანტინოპოლში 1657 წელს // საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III, (ბრძოლა სარწმუნოებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. XVI-XVIII სს.), თბილისი.
- მამისთვალიშვილი, ე. (2024). დონ კრისტოფორო კასტელი – საქართველოს მედიატორე // ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, #11, თბილისი.

- მამისტვალიშვილი, ე. (2024). კრისტოფორო კასტელი – სპარსეთის `დედოფალი` ელენე ათაბაგი და მონაზონი კრისტინე // ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, #11, თბილისი.
- მამისტვალიშვილი, ე. (2022) საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, VI. პიეტრო დელა ვალე – დიპლომატი და მოგზაური საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის პირველი მესამედი). თბილისი.
- ქორდანია, თ. (1897). ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ქორდანიას მიერ, წიგნი მეორე (1213 წლიდან 1700 წლამდე), ტფილისი,
- პაპაშვილი, მ. (1995). საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბილისი.
- პიეტრო დელა ვალე. (1879). მოგზაურის მოხსენება საქართველოზედ, პაპი ურბანუს მერვესადმი, 1627 წ. // მასალა საქართველოს ისტორიისათვის. თარგმანი ალექსანდრე ჭყონიასი, ივერია, 1879 წ. #3. თბილისი.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები. (1973). IV, თბილისი.
- ტაბაღუა, ი. (1986). საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, თბილისი
- ტაბაღუა, ი. (1987). საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX ს-ის პირველი მეოთხედი), III, (1628-1633), თბილისი.
- Alonso C. O. S. A. (1978). *Misioneros Agustinos en Georgia (siglio XVII)*, Valiadolid.
- Aptin Khanbaghi: *The Fire, the Star and the Cross: Minority Religions in Medieval and Early Modern Sparset*,
- Don Cristoforo Castelli. (1980). *Carteggio inedito di Chierico Regolare, Missionario in Georgia e Mingrelia*, // 21. Patricia Licini, Centre Studi e Documentazione della Cultura Armenia, Milano
- Don Bartolomeo Ferro. (2012). *Istoria della missioni de Chierici Regolari, Teatini. Con la descrizione de'Regni, Provincie, Citta, Luoghi, Fede, Ritti, e Costumi delle Genti ove andarono, e passarono li Missionerij, Con li Viaggi pericolosi, fattevi, e frutto raccoltovi per la Cattolika Religione. Del P. D. Bartolomeo Ferro Chierico Regolare, Ferrarese. Divisa in tre parti, t. I, de Quattro Rregni della Giorgia: Iberia, Odisci, Guriel, Imereti. Roma.*
- Gulbenkian R. *L'Ambassade en Perse de Luis Pereira de Lacerda et des Pères Portugais de l'Ordre de Saint-Augustin, Melchior dos Anjos et Guilherme de Santo Agostino, 1604-1605*, Lisbonne, 1972, 102;
- Pietro della Valle. (1693). *Informatione della Georgia . Data alla santita di Vostro Signore Papa Urbano VIII. Da Pietro della Valle il Pelegrino L'anno 1627 // Relations alo divers Voyages Curieux. Qui ont n'ont Point este Publices, qui ont on teste traduityes d'Hacluyt, Premiere Partie*,
- Roger M. Savory. (1995). "Is There an Ultimate Use for Historians? Reflections on Safavid History and Historiography", *The Annual Noruz Lecture Series*, Washington DC, Foundation for Sparsetian Studies.

- Viaggi di Pietro della Valle (1843). il pellegrino descritti da lui medesimo in lettere familiari all'erudito suo amico Mario Schipano, divisi in tre parti cioè: La Turchia, La Persia, e l'India, colla vita dell'autore. _ Brighton: G. Gancia, 1843, Vol. I, 470
- Viaggi di Pietro della Valle (1843), il pellegrino descritti da lui medesimo in lettere familiari all'erudito suo amico Mario Schipano, divisi in tre parti cioè: La Turchia, La Persia, e l'India, colla vita dell'autore. _ Brighton: G. Gancia, 1843, Vol. II.
- Броссе М. (1861). Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями от 1639 по 1770, Санкт-Петербург, 1861
- Гамахария Дж. (2014). Материалы посольства Гаврила Гегенава, Федота Елчина и Павла Захарьева 1636-1640 годы, Тбилиси.
- Полиевктов М. (1937). Материалы по истории грузино-русских взаимоотношениям. 1615-1640 / Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов, Тбилиси.
- Шмерлинг Р. (1942). Золотой сосуд из Чкороцку. ქართული ხელოვნება, თბილისი.

REFERENCES

- Antelava, i. (1990). levan II dadiani, tbilisi.
- Berelashvili, e. (2013). gvianpeodaluri khanis kartuli mit'rebi: mkhat'vrul-ist'oriuli k'vleva. sadisert'atsio nashromi ts'ardgenili ilias sakhelmts'ipo universit'et'is metsnierebata da khelovnebis pak'ult'et'ze k'ult'uris k'vlevis dokt'oris ak'ademiuri khariskhis minich'ebis motkhovnebis shesabamisad, tbilisi.
- Gabisonia, p'. (2008). ts'alenjikhis monast'ris ist'oriidan // shua sauk'uneebis sakartvelos ist'oriis sak'itkhebi, IX, tbilisi,
- Gamakharia, j. (2014). gabriel gegnavas, pedot' elchinisa da p'avle zakharievis elchobata masalebi. 1636-1640 ts'lebi. gamosatsemad moamzada, gamok'vleva, k'oment'arebi, leksik'oni, sadzieblebi da k'alendari daurto jemal gamakhaariam, tbilisi.
- Gugushvili, p'. (1949). sakartvelosa da amierk'avk'asiis ek'onomik'uri ganvitareba XIX-XX sauk'uneebshi. monograpiebi, t'. I, tbilisi.
- don arkanjelo lambert'i. (1938). samegrelos aghts'era / targmani it'aliuridan aleksandre ch'qioniasi. meore gamotsema. levan asatianis ts'inasit'qvaobit, redaktsiit da shenishvnebit, tbilisi,
- don arkanjelo lembert'i. (2015). relatsia sakartveloze (XVII sauk'une) / it'aliuri t'ekst'i targmnes da shenishvnebi daurtes murman p'ap'ashvilma da zurab gamezardashvilma, tbilisi.
- don ark'anjelo lambert'i. (2020). ts'minda k'olkheti / it'aliuridan targmna giorgi tskit'ishvilma. t'ekst'i gamosatsemad moamzada, gamok'vleva, ganmart'ebibi da sadzieblebi daurto davit merk'viladzem, tbilisi.

- don k'rist'oporo k'ast'eli (1976), tsnobebi da albomi sakartvelos shesakheb. t'ekst'i gashipra, targmna, gamok'vleva da k'oment'arebi daurto bezhan giorgadzem, tbilisi.
- don p'iet'ro avit'abile. (1977). tsnobebi sakartveloze. (XVII s.) shesavali, targmani da k'oment'arebi bezhan giorgadzisa, tbilisi.
- don juzep'e judiche milaneli. (1964), ts'erilebi sakartveloze. XVII sauk'une / it'aliuri t'ekst'i targmna, ts'inasit'qvaoba da shenishvnebi daurto bezhan giorgadzem, tbilisi.
- Tamarashvili, m. (1995). kartuli ek'lesia dasabamidan dghemde / redaktsia gauk'etes, ts'inasit'qvaoba daurtes da gamosatsemad moamzades zaza aleksidzem da jumber odishelma, tbilisi.
- Taqaishvili, e. (1910). sakartvelos sidzveleni, 3. sakartvelos saist'orio da saetnografi sazogadoebis gamotsema. t'pilisi.
- Taqaishvili, e. (2017). arkheologiuri mogzaurobidan samegreloshi, tkhzulebani, t'. 4, tbilisi
- k'ach'arava, e. (2009). amba alavrdeli mit'ropane // analebi, 2009, #4, tbilisi.
- Mamistvalishvili, e. (2011). sakartvelos sagareo p'olit'ik'a da dip'lomat'ia, II, XVII s. p'irveli nakhevari - teimuraz I-is ep'oka, tbilisi.
- Mamistvalishvili, e. (2019). saprangetis, p'olonetis da sakartvelos elchebis bank'et'i k'onst'ant'inop'olshi 1657 ts'els // sakartvelos sagareo p'oliot'ik'a da dip'lomat'ia, III, (brdzola sarts'munoebisa da erovnuli damouk'ideblobisatvis. XVI-XVIII ss.), tbilisi.
- Mamistvalishvili, e. (2024). don k'rist'oporo k'ast'eli _ sakartvelos mediat'ore // ist'oria, arkeologia, etnologia, #11, tbilisi.
- Mamistvalishvili, e. (2024). k'rist'oporo k'ast'eli _ sp'arsetis `dedopali~ elene atabagi da monazoni k'rist'ine // ist'oria, arkeologia, etnologia, #11, tbilisi.
- Mamistvalishvili, e. (2022). sakartvelos sagareo p'olit'ik'a da dip'lomat'ia, VI. p'iet'ro dela vale _ dip'lomat'i da mogzauri sakartvelos shesakheb (XVII sauk'unis p'irveli mesamedi). tbilisi.
- Zhordania, t. (1897). kronik'ebi da skhva masala sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa, shek'rebili, kronologiurad dats'qobili da akhsnili t. zhordanias mier, ts'igni meore (1213 ts'lidan 1700 ts'lamde), t'pilisi,
- p'ap'ashvili, m. (1995). sakartvelo-romis urtiertoba VI-XX ss., tbilisi.
- p'iet'ro dela vale. (1879). mogzauris mokhseneba sakartvelozed, p'ap'i urbanus mervesadmi, 1627 ts'. // masala sakartvelos ist'oriisatvis. targmani aleksandre ch'qoniasi, iveria, 1879 ts'. #3. tbilisi.
- sakartvelos ist'oriis nark'vevebi. (1973). IV, tbilisi.
- t'abaghua, i. (1986). sakartvelo evrop'is arkivebsa da ts'ignatsavebshi, II, tbilisi

- t'abaghua, i. (1987). sakartvelo evrop'is arkivebsa da ts'ignsatsavebshi (XIII-XX s-is p'irveli meot-khe-di), III, (1628-1633), tbilisi.
- Alonso C. O. S. A. (1978). *Misioneros Agustinos en Georgia* (siglio XVII), Valiadolid.
- Aptin Khanbaghi: *The Fire, the Star and the Cross: Minority Religions in Medieval and Early Modern Sparsset*,
- Don Cristoforo Castelli. (1980). *Carteggio inedito di Chierico Regolare, Missionario in Georgia e Mingrelia*, // 21. Patricia Licini, *Centre Studi e Documentazione della Cultura Armenia*, Milano
- Don Bartolomeo Ferro. (2012). *Istoria della missioni de Chierici Regolari, Teatini. Con la descrizione de'Regni, Province, Citta, Luoghi, Fede, Ritti, e Costumi delle Genti ove andarono, e passarono li Missionerij, Con li Viaggi pericolosi, fattevi, e frutto raccoltovi per la Cattolika Religione. Del P. D. Bartolomeo Ferro Chierico Regolare, Ferrarese. Divisa in tre parti, t. I, de Quattro Rregni della Giorgia: Iberia, Odisci, Guriel, Imereti. Roma.*
- Gulbenkian R. *L'Ambassade en Perse de Luis Pereira de Lacerda et des Pères Portugais de l'Ordre de Saint-Augustin, Melchior dos Anjos et Guilherme de Santo Agostino, 1604-1605*, Lisbonne, 1972, 102;
- Pietro della Valle. (1693). *Informatione della Georgia . Data alla santita di Vostro Signore Papa Urbano VIII. Da Pietro della Valle il Pelegrino L'anno 1627 // Relations alo divers Voyages Curieux. Qui ont n'ont Point este Publices, qui ont on teste traduityes d'Hacluyt, Premiere Partie*,
- Roger M. Savory. (1995). "Is There an Ultimate Use for Historians? Reflections on Safavid History and Historiography", *The Annual Noruz Lecture Series*, Washington DC, Foundation for Sparsetian Studies.
- Viaggi di Pietro della Valle. (1843). *il pellegrino descritti da lui medesimo in lettere familiari all'erudito suo amico Mario Schipano, divisi in tre parti cioè: La Turchia, La Persia, e l'India, colla vita dell'autore. _ Brighton: G. Gancia, 1843, Vol. I, 470*
- Viaggi di Pietro della Valle. (1843). *il pellegrino descritti da lui medesimo in lettere familiari all'erudito suo amico Mario Schipano, divisi in tre parti cioè: La Turchia, La Persia, e l'India, colla vita dell'autore. _ Brighton: G. Gancia, 1843, Vol. II.*
- Brosse, M. (1861). *Perepiska na inostrannyh jazikah gruzinskih carej s Rossijskimi gosudarjami ot 1639 po 1770*, Sankt-Peterburg, 1861
- Gamaharija, Dzh. (2014). *Materialy posol'stva Gavrila Ge-ge-nava, Fedota Elchina i Pavla Zahar'eva 1636-1640 gody*, Tbilisi.
- Polievktov, M. (1937). *Materialy po istorii gruzino-russkih vzaimootnoshenii. 1615-1640 / Dokumenty k pechatu podgotovil i predisloviem snabdil M. Polievktov*, Tbilisi.
- Shmerling, R. (1942). *Zolotoj sosud iz Chkorocku*. Tbilisi.